გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასახელთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, გარნიზონის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1893 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1893



## საკომერციო ცეცხლისაგან დაზღვევის საზოგადოება

დაზღვევა ცეცხლისაგან მოძრავისა და უძრავის ქონებისა.
სააგენტო იმყოფება ველიამინის ქუჩაზედ, № 7. დიაა 9—2 საათამდე.
(50—4)

აგენტი დ. ქ. თუთაევი

## რედაქციისაგან

შეიძლება დაკვეთა გაზეთისა 1 აპრილიდამ წლის დამლევამდე, ფასი 8 მან. მსურველთ შეუძლიანთ ეს ფული ნაწილ-ნაწილადაც შემოიტანონ.

მეორე წარმოდგენა ეფ. მესხისა და კოტე მესხის
მონაწილეობით
ქართული თეატრი
ხუთშაბათს, 11 მარტს,
მ. მ. საფაროვის გამგეობით
ქართული თეატრის არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება
ახალი პიესა

**ლანგ-თემურ**
ანუ
**სამშობლოს სადიდებლად**
ტრაგედია 4 მოქმედ. კ მესხისა
(სიუჟეტი გადმოღებულია)
ლანგ-თემურის როლს აასრულებს
**კ. მესხი**
საბერძნეთის დედოფლის ანნას როლს
**ეფ. მესხი**
ამ პიესაში მონაწილეობას მიიღებს არა ნაკლებ 50 კაცისა
პიესისათვის შეკეთილია ახალი ძვირფასი ტანთსაცმელი

დასასრულ
მშვენიერ ელენეს მაძიებელნი
ფარსი 2 მოქმედ. გადმოკ. ა. ცაგარლისა
მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი
რეჟისორი კ. აბაშიძე
ადგილების ფასი საოპერეტოა
**დასაწყისი სწორედ 8 საათზედ**
ბილეთები ისყიდება ამ თავითვე კასაში, ყოველ დღე, დილის 10 საათიდამ.
გამგეობა მ. მ. საფაროვისა
ანონსი: მზადდება შემდეგი პიესები: დალილა, ორი ობოლი, ოტელო და სხვ.

დაიბეჭდა და გაიგზავნა გასასყიდად სხვა-და-სხვა ქალაქებსა და დაბებში
**ლექსები სილოვანისა**
ფასი ათი შაური.
(6—2)


## ახალი ამბავი

*** როგორც მკითხველებმა იციან, ქალაქის საბჭომ დაავალა გამგეობასა და სასანიტარო კომისიას, რომ ამათ ერთის თვის განმავლობაში შეჰკრიბონ ცნობები მასზედ, თუ რომელი ექიმი გამოადგება ქალაქს სასანიტარო ინსპექტორად და რომელი ექიმთაგანი მოისურვებს ამ ადგილის აღებას. თანხმად ხსენებულის დავალებისა, ქალაქის მოურავმა 10 მარტს წერილი მისწერა თავმჯდომარეს საბჭოს სასანიტარო კომისიისას, ხმოსანს პ. ა. გლავაცკის და სთხოვა, აცნობოს გამგეობას, რომელი ექიმი უფრო გამოადგება ქალაქის თვით-მმართველობას ამ სამსახურში და რომელია ღირსი, რომ გამგეობამ წარუდგინოს საბჭოს ამოსარჩევად.

*** ახალ საყასბოსათვის ქალაქმა გამოაცხადა კონკურსი უკეთეს პროექტებისა. ვადა ამ პროექტების წარმოდგენისა დანიშნული იყო 1 აგვისტო ამა მდგომარე წლისა, ხოლო რადგან ვრცელი გეგმა ადგილისა, სადაც უნდა აშენდეს საყასბო, დროზედ ვერ იქმნა შედგენილი, ამიტომ ქალაქის გამგეობამ ვადა პროექტების წარმოდგენისა გადასდო 20 აგვისტომდე ამა წლისა. თანაც გამგეობა საჭიროდა ჰრაცხს გამოაცხადოს, რომ საყასბოში დაიკვლება ყოველ დღე 209-დგან 300-მდე მსხვილი საქონელი, 800—1200 წვრილი და და 300—450 ღორი.

*** 1871 წ. გამოვიდა კანონი, რომლის ძალითაც უპატრონოდ დარჩომილი უძრავი ქონება უნდა დაჰრჩეს ქალაქის თვით-მმართველობას. ამ უკანასკნელ ხანში გამოვიდა ახალი უქაზი, რომ ტახტის აზნაურთა უძრავი საქალაქო მამულები უნდა დარჩეს საგუბერნიო თავად-აზნაურობასაო. ამ უქაზის გამო სამინისტრომ მოსწერა კავკასიის ადმინისტრაციას—ჩქარა გვაცნობეთ 1871 წლიდგან აქომამდე რამდენი მამული ტახტის აზნაურისა და თავიდისა გადავიდა ქალაქების საკუთრებად და ან რა ღირს ეგ მამულებიო. ქალაქის მოურავმა აცნობა ბ-ნს ტფილისის გუბერნატორს, რომ ხსენებულის კანონის ძალით არც ერთი თავად-აზნაურის უპატრონოდ დარჩენილი მამული არ გადასულა საკუთრებად ქალაქის თვით-მმართველობისაო.

*** კავკავის სამხედრო გზა იმდენად გაიწმინდა თოვლისაგან, რომ კობსა და გუდაურ შუა მარხილები დადიან და გუდაურ-მლეთ და კობყაზბეგ შუა გზა სულ გასუფთავდა.

*** ამას წინად ქ. ახალქალაქში შავი სახადი გაჩნდა და ტფილისის გუბერნატორმა გაგზავნა ტფილისის საგუბერნიო მკურნალის თანაშემწე ექიმი ქიქოძე. ამ უკანასკნელის გამოკვლევით ახალქალაქში 23 იანვრიდან 10 თებერვლამდე სახადით ავად ყოფილა 8 კაცი; ხოლო 10—28 თებერვალს-კი აღარავინ გამხდარა ავად.

ბათუმში იანვარ და თებერვალს, როგორც აცნობებენ სამკურნალო გამგეობას, საპყრობილეში პატიმრები ყოფილან ავად შავის სახადით და რავდენიმე ჯარის-კაცი, რომელნიც ბათუმით გაუტარებიათ. ახალქალაქში ბ-ნ ქიქოძეს სადაც-კი შავი სახადი გაჩენილა, ყველგან დეზინფექცია მოუხდენია.

*** ჩვენ მივიღეთ ახალი პოემა სომხურ ენაზედ „სრული ქალი“ ბ-ნ შანთისა; წიგნი გ მოცემულია „ტარაზისა“ და „ალბიურის“ რედაქციის მიერ. წიგნი სუფთად არის გამოცემული. შეიცავს 32 გვერდს და ღირს ორი შაური.

*** ნორიო (ტფილისის მაზრა); ურიგო არ იქნება, ვაუწყოთ მკითხველებს, თუ როგორ მიდის ჩვენის ნორჩის ბიბლიოთეკის საქმე. ამ საძაგელმა დარებმა აღარ დაგვაცალა, რომ ყოველ კვირას გაგვემართა ხოლმე წიგნების კითხვა. წარსულს კვირას მოიწვია მასწავლებელმა წირვის შემდეგ მღვდელი ანდრიაშვილი, მთავარი მანსვეტოვი და ხალხი სკოლის ეზოში, სადაც წაუკითხეს შემდეგი მოთხრობანი: მღვდელმა წაუკითხა მამა ანტონ მარტყოფელისაგან ხელთ-უქმნელის ხატის გადმოტანა ჩვენს ქვეყანაში, მთავარმა—კვართის გადმოტანის ამბავი მცხეთაში და მასწავლებელმა—რამდენიმე იგავ-არაკი თ. რაფიელ ერისთავისა და აკაკი წერეთლისა, რომელნიც შეეხებოდნენ ხალხის ყოფა-ცხოვრებასა და რომლებიც იყვნენ წაკითხულნი შესაფერის განმარტებითა. ხალხი ძალიან ბლომად დაესწრო (300 კაცზედ მეტი იქმნებოდა, დიდი და პატარა). შემდეგ კითხვისა მასწავლებელმა გამოუცხადა, რომ, ვინც კითხვა იცის, ნება აქვსთ წიგნები წაიღონ უფასოდ და წაიკითხონო.

აქამდე ძალიან ცოტანი იყვნენ მკითხველები წიგნებისა, მაგრამ ეხლა რა გაიგეს, რომ წიგნებს მუქთად გვაკითხებს მასწავლებელიო, ვისაც-კი ასოების ჩათვლა უსწავლია, დილის ხვეწნით მიაქვს წიგნები. უმეტესი ნაწილი მკითხველებისა სკოლიდგან გასული შეგირდები არიან, რომლებიც ძალიან გულ-მხურვალედ კითხულობენ სხვა-და-სხვა წიგნებსა. იმედია, რომ ამ ფრიად სასიკეთო საქმემ კარგი ნაყოფი გამოიღოს. დღეს წიგნების მკითხველები ასზედ მომეტებულია. წიგნები ზოგს მინდორში მიაქვთ წასაკითხად, ზოგს—ცხვარში და ზოგს—საქონელში. ერთხანად საეჭვო იყო, იქნება ზოგიერთს მათგანს მიჰქონდა წიგნი მარტო სურათების გასასინჯად, მაგრამ როდესაც ერთ-ორს გამოჰკითხეს, რა წაიკითხეო, ბევრმა მათგანმა მშვენივრად სთქვა შინაარსი წიგნისა.

შემდეგისთვის ვეცდებით, რადგან კარგი დარები დადგება ეხლა, მალმალე გავმართოთ ამისთანა კრება ხალხისა.

*** ხევი: მარტის 6, უამინდობამ

## ფელეტონი

### ალავერდის ტაძარი და წმინდა მოწამე ქეთევან დედოფალი.

თელავიდან თხუთმეტ ვერსზედ, ჩრდილო-დასავლეთით, სდგას მშვენიერი ეკკლესია ალავერდისა, გვირგვინი მრთლად ივერიის ტაძართა. ეს დიდებული ეკკლესია შემოზღუდულია კოშკ-გალავნით, რომელნიც ჯერეთაც არიან და რომელნიც იყვნენ დამცველნი მტერთა დაცემისაგან. ტაძარი ესე შემკულია მშვენიერის მოგრძო და ვიწრო ფანჯრებიან გუმბათით. ეკკლესიას აქვს 82 ადლი სიგძე და ორმოცი ადლი სიგანე. კედელი ამ ეკკლესიისა არის ადგილ-ადგილ შედრეკილი და შემკულია ჩუქურთმებითა და ამ გვარითავე ჯვრებითა. ეკკლესიას ჰქონია გარედან მიდგმული ოცამდის სტოვანი (მცირე სამწირველნი), მაგრამ შემუსვრილ არიან ჟამთა ვითარებისა გამო. ეკკლესიაში შემსვლელს პირველად გააკვირვებს სიდიდე და მოყვანილება ყველა ამ ტაძრის ნაწილისა. შუა ეკკლესიაში არის ექვსი უზარ-მაზარი სვეტი გადაბმულნი ერთი მეორეზედ თაღებით, რომელზედაც არის აყვანილი გუმბათი, სიმაღლით 96 ადლი. საკურთხეველი არის სამ ნაწილად გაყოფილი; ერთი ამ ნაწილთაგანი ოდესმე იყო სამწირველოდ, მაგრამ ეხლა დადებულია სალაროთ. წინად ეს ეკკლესია იყო აშენებული წმინდა გიორგის სახელზედ და ხალხი პირველად მოდიოდა ამ ეკკლესიის სალოცავად მხოლოდ წმინდა მთავარ მოწამის გიორგის დღესასწაულს, მაგრამ მას შემდეგ, რაც ხალხმა შეიტყო, რომ ნაწილი ცხოველს-მყოფელის ჯვარისა არის ამ ეკკლესიაში, დაიწყო სიარული მრავლობით შორიდგან თაყვანის საცემლად ჯვართ-ამაღლების დღეს (14 სექტემბერს). ვინ მოიტანა ან საიდან გაჩნდა ნაწილი ცხოველს-მყოფელის ჯვარისა? ჩვენ ვიცით ისტორიიდან, რომ კახეთის მეფე ლევანმა, განაახლა იერუსალიმში ქრისტეს აღდგომის ეკკლესია და ამის სამაგიეროდ ანუ მადლობის ნიშნად, იერუსალიმის პატრიარქმა გერმანოზმა უბოძა ლევანს ნაწილი ცხოველს-მყოფელის ჯვარისა, რომელმაც წამოიღო და დაასვენა ალავერდის ეკკლესიაში. რახან ხალხი ამ ცხოველს-მყოფელის ჯვარის სალოცველად უფრო ბევრი მოდიოდა, ვიდრე თვით ეკკლესიის დღეობას, მიტროპოლიტმა იონამ, ხოროზედ გააკეთებინა წმინდა გიორგის ეკკლესია და თითონ ეკკლესია აკურთხა პატიოსანის ჯვარის სახელზედ. იმ ალაგას, სადაც ეხლა ეკკლესია სდგას, მეექვსე საუკუნეში, ერთმა ათთორმეტ ასურელთ მამათაგან იოსებმან, აღაშენა წმინდა გიორგის ეკკლესია და ჰყო საეპისკოპოზოდ. მეცხრე საუკუნეში, კახეთის მეფე კვირიაკემ, სიძველისა გამო დაანგრია ეს ეკკლესია და იმავე ადგილას აღაშენა ეხლანდელი ალავერდის ეკკლესია. 1530 წ. მიწის ძვრისაგან ჩამოიქცა გუმბათი ამ ეკკლესიისა და მეფე ლეონმა ხელახლად დაადგა გუმბათი. 1740 წ. კიდევ ჩამოიქცა ეს გუმბათი. ამ დროს თელავში ბრძანდებოდა დედოფალი თამარი, მეუღლე თეიმურაზ კახთა მეფისა, და რომ შეიტყო გუმბათის ჩამოქცევა, მაშინვე თავისის ამალით წაბძანდა ალავერდს. თვით თამარი შველოდა ხალხს გუმბათის ნანგრევის გამოზიდვაში და ამანვე განაახლა ეს ეკკლესია. მაღალი და მშვენიერი კანკელი ამ ეკკლესიისა არის გამოგზავნილი მოსკოვიდან უკანასკნელის საქართველოს მეფის გიორგის ძის ირაკლისაგან და არხიეპისკოპოზის დოსითეოზისგან, რომელიც იმ ჟამად ბატონის შვილს თან ახლდა. ამ ეკკლესიაში არის ოთხი ფრიად შესანიშნავი ძველი ხატი: ორი დიდის მოწამის გიორგისა და ორი ღვთისმშობლისა, რომელნიც არიან მოსვენებულნი სხვა გაუქმებულ მონასტრებიდგან. განსაკუთრებით შესანიშნავია ბოჯორმის წმინდა გიორგის ხატი, რომელიც ასვენია მარცხნივ. ეს ხატი არის მოსვენებული ბოჯორმის მონასტრიდგან, შემდეგ მის აოხრებისა. გასაოცარის ხელოვნებით არის გაკეთებული და შემკული ძვირფასის თვლებით. ეს ხატი, შეუმოსვინებია, ოქროში დაფერილის ვერცხლით, ერთ ალავერდის წინამძღვართაგანს, თავადს ჩოლოყაშვილს 1721 წ. სხვათა შორის ამ ეკკლესიაში არის ერთი ფრიად შესანიშნავი ტრაპეზის სახარება, რომელიც დაწერილია ეტრატზედ და ეკუთვნის მეცხრე საუკუნეს. ყდა ამ სახარებისა არის შეჭედილი ოქროთი, მოფენილია ძვირფას თვლებით და შეიცავს რამდენსამე წმინდათა ნაწილს. როგორც ამ სახარების ზედ წარწერიდან სჩანს, ეს სახარება პირველად ეკუთვნოდა კაცხის იმერეთის ეკკლე-

გაგვიჭირა საქმე. ავდარი არ შესწყდა მარტის 2-დე. თოვლი ისე დიდია, რომ მეზობელი მეზობელთან გაჭირებით მიდის; ერთის სოფლიდამ მეორე, იქვე მახლობლად მდებარე სოფლამდე უცხენოდ ველარ მიდიან.

სამხედრო საქართველოს გზა გუდაურისა და ლარსის ფოსტის სადგურებ შორის მარტის 5-დე ყველგან შეკრული იყო.—საინჟინერო უწყების განკარგულებით, მამასახლისებმა სოფლებიდამ ხალხი გამოიყვანეს და ამუშავებდნენ კობისა და ყაზბეგის ფოსტის სადგურებ შორის, სანამ სამარხილო გზა გაკეთდებოდა; მარტის 5—6-სა, კობისა და ლარსის ფოსტის სადგურებ შორის მარხილებით დაიწყეს სიარული. როგორც ბიდარის მთაზე, ისე ყაზბეგს ქვემოდ. კავკავისაკენ 9—10 ვერსის მანძილზე ბევრგან იყო ჩამოსული ზვავი.

ყაზბეგსა და კობში დიდ-ძალი მოგზაური ხალხი იყო მომწყვდეული უგზოობის გამო, ისე რომ დუქნებში ველარ იტეოდნენ და სოფლად და ეძებდნენ თავშესაფარს.

⁂ სოფ. დარკოხი (კავკავის მაზრა): წარსულ კვირას ელხოტის და დარკოხის რკინის გზის საგურებს შუ, ერთი ქარძინელი ოსი გასრისა მატარებელმა. ხალხის მატარებელი მოდიოდა და ოსმა, ლიანდაგზე შემდგარმა, ვერა გაიგო-რა. საცოდავი მუნჯიც იყო თურმე და ყრუც. მემაშინემ დააწყებინა სტვენა მატარებელს და მიუახლოვდა მგზავრს, მაგრამ ველარ შეაყენა და მგზავრი გაიტანა. კაცს თავი და ორივ მკლავი მოაგდებინა მატარებელმა.

⁂ კავკავის გზაზედ ზვავებია ჩამოწოლილი. თუმცა მარხილები დადის, მაგრამ გზას გაწმენდა უნდა და მუშებს ვერა შოულობენ. ახლო-მახლო მცხოვრებნი ამბობენ, რომ ასეთს ზვავებს ჯერ არ მოვსწრებივართო. („Нов. Обоз.“)

⁂ 8 მარტს, ტფილისის რკინის გზის სახელოსნოში მუშაობის დროს დაეცა თავში „სტანოკი“ გურულს, სოფელ ამაღლების მცხოვრებს კარპეზ ბურჭულაძეს, რომელმაც ამას შემდეგ ერთს საათს ველარ იცოცხლა.

⁂ სკრა: 7 მარტს, სკრასა და გორს შუა, როცა სახალხო მატარებელი მოდიოდა ამ გზაზე, მემაშინემ შეამჩნია, რომ ლიანდაგზედ ეგდო ქართველი კაცი მიხა ფილიშვილი. გააჩერეს მატარებელი და ცოცხალ-მკვდარი აიყვანეს. საცოდავმა მეორე დღეს განუტევა სული ტფილისის რკინის გზის სამკურნალოში. არავინ იცის, თავად გაწოლილიყო ლიანდაგზე და მატარებელმა მოჭკლა, თუ ბოროტ-მომქმედთ დაეგდოთ ასე ცოცხალ-მკვდარი გზაზედ.

⁂ 9 მარტს, დამოქნის ქუჩაზე, ღამის 11 საათზედ გეურქ ათაბეგოვი ფულის მიცემის დროს წაეჩხუბა მეეტლეს ბალაშოვს და დანით სამს ალაგას დასჭრა. დაჭრილი სამკურნალოში გაჰგზავნეს დამნაშევე შეიპყრეს.

⁂ ამავე დღეს პოლიციის მეშვიდე ნაწილში საფაროვის თამბაქოს ქარხანაში მომუშავე არშაკ სარიევი წაეჩხუბა ავეტიქ ისრაელოვს და დანით სამ ალაგას დასჭრა. დაჭრილი სამკურნალოში გაჰგზავნეს, დამნაშავე შეიპყრეს.

## მთავრობის განკარგულებანი

ებოძათ პოდპორუჩიკობა კავკასიის ჯარების მთავარ სარდლის სასახლის ზედამხედველს, გოგნიაშვილს, ახალ-ბაიაზეთის სათადარიგო ქვეითი ჯარის კაპიტანს ყორღანოვს, გორის სათადარიგო ქვეითი ჯარის კაპიტანს ზანდუკელს, 78—პოლკის კაპიტანს ცვემეტიძეს, მის იმპერატორებით უმაღლესობის დიდის მთავრის გიორგი მიხეილის ძის აპშერონის პოლკის კაპიტანს ქორქაშვილს, ქვეითის გენერალ ციციანოვის მე-156 განჯის პოლკის კაპიტანს მუსხელიშვილს, 153—ბაქოს პოლკის კაპიტანს გაბაშვილს, მე-43 ტვერის პოლკის როტმისტრს ვექილაშვილს, 44—ნიჟნი-ნოვოგოროდის, მის იმპერატორებით უმაღლესობის მემკვიდრე ცესარევიჩის პოლკის როტმისტრს თავად ჩხეიძეს, 43—ტვერის პოლკის როტმისტრს თავად ჭავჭავაძეს, და ქუთაისის გუბერნიის, არტვინის ოლქის უფროსის თანამდებობის აღმასრულებელს თავად ერისთავს; ტამანის ჯარის იესაულს თავად ჯორჯაძეს ებოძა ჯარის უფროსობა.

## კავკასიის ექიმთა პირველი კრება ქ. ტფილისში

(დასასრული *)

თუმცა შარშან შემოდგომას ხოლერა განელდა და ამ ზამთარს მისწყდა კიდეც, მაგრამ დაბეჯითებით არ ითქმის, რომ სამუდამოდ თავი დაგვანება და მოისპო. უფრო საფიქრებელია, რომ წელსაც იჩენს აქაიქ თავს, თუმცა ისეთი საშინელი ძალა აღარ ექნება, როგორც შარშან. წინანდელ ხოლერიანობის ამბავი რომ მოვიგონოთ, დავრწმუნდებით, რომ ყოველთვის ორის წლის განმავლობაში მაინც უთარეშნია ამ სენს, ხოლო ბოლოს დროს ისე მძლავრი და მავნებელი აღარა ყოფილა, როგორც პირველ გამობიჯების დროს.

თუ ხერხიანად მოვიქცევით, წელს შესაძლებელია სრულიად უვნებელ-ვყოთ ხალხი ხოლერისაგან. ჯერ შარშანაც, როდესაც ხოლერა მოულოდნელად დაგვატყდა თავსა, არ ვიცოდით მისი ძალა და თვისება, მოუმზადებელნი და გამოუცდელნი ვიყავით, და სამყოფი წამალიც-კი არ მოიპოვებოდა ჩვენში,—შარშანაც-კი, სადაც მეცნიერული ღონისძიება იყო მიღებული, ხოლერა არამც თუ შესუსტდა, არამედ მოისპო კიდეც. თუ მეცნიერებას დავემყარეთ, ნასწავლ და გამოცდილ კაცთ ვენდეთ, ხოლერა ვეღარას დაგვაკლებს.

მეცნიერება და გამოცდილება ორს უმთავრესს ღონისძიებას გვაძლევს ხოლერასთან საბრძოლველად: ასსენიზაციასა და დეზინფექციას. ექიმთა კრებამ სწორედ ამ ორ საგანს მიაქცია უმთავრესი ყურადღება. რასაკვირველია საჭიროა ყოველ გვარი სისუფთავე სახლისა, კარმიდამოსი, ქუჩებისა და სხ., აგრედვე ლოგინისა ტანთსაცმელისა და მეტადრე სასმელ-საჭმლისა, რომ ხოლერის შხამი ადამიანის კუჭს არ მოხვდეს. საჭიროა, საზოგადოდ ჯანმრთელად შეინახოს კაცმა თავი, რადგანაც ხოლერა უფრო სუსტს ადამიანს ერევა. მაგრამ, თუ ამ რიგად კაცმა ვერ აიცილა სენი, თუ ხოლერა გაჩნდა და ფეხი მოიკიდა, მაშინ მის გასაძევებლად საჭიროა დეზინფექცია, ე. ი. სხვა-და-სხვა წამლის შემწეობით ხოლერის შხამის გაქარწყლება, ბაცილების ანუ პაწაწკინა, უჩინარ ცხოველების დახოცვა.

როგორც იმისთვის, რომ ხოლერა აღარ გაჩნდეს და ხელ-ახლად არ გავრცელდეს, აგრედვე იმის მოსასპობლად, თუ მაინც-და-მაინც თავი იჩინა, სხვათა შორის, აი რა ღონისძიებანი იცნა ექიმთა კრებამ საჭიროდ:

1, უნდა დაწესდეს სანიტარული კომისიები ყოველ შემთხვევაში, იქნება, თუ არ იქნება წრეულ ხოლერა.

2, რადგანაც ექიმთა რიცხვი ჩვენში მეტად მცირეა და ვერ გასწვდება მთელს ქვეყ ნას, ქალაქსა და სოფელს, სასურველია, რომ საზოგადოდ განათლებულმა კაცებმაც მიიღონ მონაწილეობა ხოლერასთან ბრძოლაში, ხოლო წინადვე-კი უნდა შეისწავლონ ეს საქმე. ვიდრე ექიმი მიეშველება ავადმყოფს, ამ ნასწავლმა ხალხმა უნდა იღონოს რამე, უწამლოს და დეზინფექციაც მოახდინოს.

3, ქალაქ ადგილას უნდა ცალკე საავადმყოფოები დაარსდეს ყველა გადამდებ სენით შეპყრობილთათვის.

4, ავადმყოფთა მისაყვან-მოსაყვანად ჩვეულებრივი ეტლები უნდა იყოს მომზადებული, რადგანაც სხვანაირი ეტლი ხალხს აშინებს, აშფოთებს, თავზარსა სცემს; ხოლო ამისთანა მღელვარება მეტად მავნებელია ადამიანის ჯან-მრთელობისათვის და ხოლერას ამით ხელს უწყობს.

5, ფეხისადგილები სასმელ წყლის ახლო არ უნდა იყოს.

6, ბანაობა მავნებელი არ არის, ხოლო წყალი სუფთა უნდა იყოს, სენით მოდებულ ადგილიდგან არ მომდინარეობდეს და სიფრთხილეც არის საჭირო, რომ ბანაობის შემდეგ კაცი არ გაცივდეს.

7, თვალ-ყური უნდა ადევნოს სანიტარულ კომისიამ ხორაგეულს და სასმელს. კარგი ლუდი და დადუღებული „კვასი“ მავნებელი არ არის, აგრედვე ხილიც, თუ მწიფეა და არა დამპალი.

8, ქალაქ ადგილს საჭიროა უფასო საჩაიები, სასადილო, ღამით თავშესაფარი და აბანოები დაარსდეს ღარიბთათვის და დროებით მოსულ ხალხისათვის.

9, ავადმყოფის ლოგინი და ტანისამოსი უნდა დაიწვას, ან წამლით იბკუროს მცოდნე კაცის მიერ.

10, უნდა აკრძალულ იქმნას ნაცვამ ტანისამოსის გადატან-გადმოტანა საეჭვო ადგილიდგან.

11, გარდაცვალებული აუცილებლად უნდა სულემაში ამოვლებულ ზეწარში გაახვიონ და 3 არშინის სიღრმეზე დაასაფლაონ; კირის დაყრა სავალდებულო არ არის, ხოლო სულემა მაინც უნდა მოესხას.

12, წამლების მოხმარება უექიმოდ არ შეიძლება და ვერც ითქმის წინადვე, რომელი წამალი უფრო მოუხდება ავადმყოფს; ყველა ექიმს შეუძლიან ნაცადი წამალი აძლიოს, და სხვა.

*) იხ. „ივერია“ № 50.

## გარდაცვალებულ ჰასან ეფენდი ციციშვილის შესახებ.

ზედა-აჭარიდამ სამწუხარო ამბავი მოგვივიდა. ზედა-აჭარის, დაბა ქედაში მცხოვრები, ქართველ-მაჰმადიანთა შორის პატივცემულ აბდულ ბეგ ბეჟანის ძე გვწერს, რომ თებერვლის 16-ს გარდაიცვალა, ოთხის დღის ავადმყოფობით, ერთი პატიოსანი ახალგაზდა კაცი ჰასან ეფენდი ციციშვილიო.

ჰასან ეფენდი ციციშვილი შთამომავალი იყო იმ დიმიტრი ციციშვილისა, რომელიც 1773 წ. მეფე ერეკლეს წინააღმდეგ შეთქმაში მონაწილეობას იღებდა. დიმიტრი დასაჯეს მით, რომ ენა მოსჭრეს და განდევნეს საქართველოდამ. დიმიტრი აჭარაში დაბინავდა და 1778 წ. მიიღო მაჰმადის სარწმუნოება. შეირთო ცოლი, რომლისაგანაც მიეცა პაპა ჰასან ეფენდი ციციშვილისა.

აწ განსვენებული ჰასან-ეფენდი ციციშვილი ახალგაზდა 25 წ. ყმაწვილი კაცი იყო, ტრაპიზონის თათრის სკოლაში გაზრდილი. ქართული წერა-კითხვა ამ ოთხის წლის წინად ესწავლა, აჭარაში მცხოვრებ ქართველ-მაჰმადიანთ დევრიშ ბეგის დედისაგან; ეს მოხუცებული ქალი დღესაც ასწავლის ქართულს წერა-კითხვას მაჰმადიანთ ბავშვებს.

შარშან ჩემი გაცნობა და აჭარაში მისვლა განსვენებულს ძლიერ ესიამოვნა. ესიამოვნა მით უფრო, რომ გაეგო, ქართული წიგნები მქონდა თანა. ბათუმიდამ ქედამდის წამომყვა და გზაში ბევრი რამ საინტერესო მიამბო ქართველ-მაჰმადიანთ შესახებ. ჰასან ეფენდი მსახურებდა აჭარის ასისთავის დაში. ამ ყმაწვილმა წიგნების გავრცელებაში დიდი დახმარება აღმომიჩინა. სულ იმას ნატრობდა, ეგები ჩვენს დაცემულს მხარესაც ეშველოს რამე და ჩვენშიაც სწავლა-

---

სიას და შემდეგ, ერთ ალავერდის წინამძღვართაგანს, ზებედეს, დაუხსნია იგი სპარსელებისაგან, შაჰ-აბაზის დროს. ამათ გარდა აქვე არის ძვირფასი და მდიდრულის ხელოვნებით შემკული ხატები, რომელნიც შეწირულნი არიან ლეონ მეფისაგან და მეუღლის მის თინათინისაგან, მაგ., არის აქ ერთი მაცხოვრის ხატი, მთლად ოქროთი მოჭედილი, შემკული ცხოველს-მყოფელის ნაწილითა და სხვა წმინდათა ნაწილებით. აქვე არის ერთი მშვენიერი ტრაპეზის ჯვარი, რომელიც არის გამოგზავნილი რუსეთის მეფის მიხეილ თეოდორეს ძის მიერ თეიმურაზ მეფესთან 1641 წელსა. რასაკვირველია, სხვაც ბევრი ძვირფასი ხატი და სამკაული იქნებოდა აქ, მაგრამ, როგორც ისტორია გვეუბნება, სპარსეთის მეფის შაჰ-აბაზისაგან არის წაღებული. როდესაც ეს დაუძინებელი მტერი საქართველოსი დაეცა ქართლს და კახეთსა, მან თითქმის მთლად შემუსრა ჩვენი ეკკლესიები, თითონ თავის ცილწის ხელით სცრცვნიდა ხატებს, ჯვრებს და ამ სიმდიდრეს ურიგებდა თავის მახლობელ ხალხს. აქვე, ალავერდის ტაძარში, დიდის ტრაპეზის ქვეშ არის დაცული ნაწილი წმიდის მოწამის ქეთევანისა, კახთა დედოფლისა. საეკკლესიო ისტორიიდგან უკვე ვიცით რამდენი წვალება გამოიარა წმიდა ქეთევანმა სპარსელების ხელში, რომელსაც მოწმობენ თვით შვილი მისი თეიმურაზ, მეფე არჩილ და კათალიკოზ ანტონი. სხვათა შორის წმიდა ქეთევანის წვალების მხილველნი არიან ლათინთა მღვდელნი, რომელთაც მოასვენეს წმიდა ნაწილი სპარსეთიდგან საქართველოში. ჩვენ არ გამოუდგებით აქ დაწვრილებით წმიდა ქეთევან დედოფლის წვალების აღწერას, რადგანაც იგი კარგათა აქვს აწერილი ბ-ს საბინინს თავის „საქართველოს სამოთხეში“ და აგრედვე რუსულად „Жизнеописаніе Святыхъ Грузинской Церкви“. მხოლოდ მოკლედ ვიტყვით მის ვინაობას. იგი იყო ბაგრატიონთ გვარისა, აშოთანის შვილი, შვილის-შვილი კონსტანტინე მეფისა. ქეთევანი იყო მშვენიერის სახისა. აი რას ამბობს ანტონ კათალიკოზი ქეთევანზედ: „სწავლული სარწმუნოებითა, სწავლული სამღვდელოთათა წერილითა, მოშგები სათნოებათა, ქალწული, მორცხვი, ბრძენი კეთილ-გონიერებისა ხმევითა, ქალი ნარნარი და მხნე კეთილთა მოქმედებათადმი, ყრმა მშვენიერი და უმშვენიერესი მიმადლებულებითა„. ქეთევანი მიეთხოვა დავითსა, კახეთის მეფის ალექსანდრეს შვილს და შვილის-შვილს დიდის ლეონისას. ეს იყო ის დრო, ოდეს სპარსეთის მეფე შაჰ-აბაზი განიზრახვიდა ქართლ-კახეთის შემუსრვას. მეფე ალექსანდრე მოელოდა შველას რუსეთისაგან და ამისთვის არა ერთხელ სთხოვა მეფეემ წერილით ბორის გოდუნოვს, რომ მოეშველებოდა. თვითონ ალექსანდრესაც მოელოდა უბედურება, რადგან იგი იყო თავის ძმის მკვლელი. ამის უფროსმა შვილმა, ქეთევანის ქმარმა დავითმა წაართვა სამეფო ტახტი და თვით გამეფდა. მაგრამ არც დავითი მოეწია ბედნიერებას: როდესაც ალექსანდრე განთავისუფლდა სნეულობისაგან, ფეხ-შიშველი და ტანთ ჩაუცმული შევარდა ალავერდის ტაძარში და დასწყევლა ურჩი შვილი დავით. მართლაც უწია მამის წყევლამ და დავითი უეცრად გახდა ავად და დიდის ტანჯვით გარდაიცვალა. დავითს დარჩა ახალგაზდა ცოლი და მცირე წლოვანი შვილი თეიმურაზ. განრისხებულმა ალექსანდრემ დასვა მეფობის თანაშემწედ მეორე შვილი გიორგი სამეფო ტახტზედ და თეიმურაზი გაგზავნა სპარსეთში შაჰთან. ამასვე ჰყავნდა მესამე შვილი კონსტანტინე, რომელიც სიყრმითვე გაგზავნილი იყო მძევლად სპარსეთში. ეს უკანასკნელი შეიქმნა ბოლოს ამომწყვეტლად თავის სახლისა. როცა შაჰ-აბაზმა შეიტყო, რომ ალექსანდრე ეძიებს კავშირსა რუსეთთანაო, აღელვებულმა მოინდომა მთლად შემუსვრა სამეფო გვარის წევრთა, რომელნიც იყვნენ ერთგულნი რუსეთისა, აღმოფხვრა წმინდის სარწმუნოებისა და მიცემა საქართველოს მეფობისა მაჰმადიანისათვის. ამ განზრახვით შაჰ-აბაზმა წარმოგზავნა დიდის ჯარით საქართველოში კონსტანტინე, რომელიც უკვე გამაჰმადიანებული იყო. კონსტანტინემ, მოსვლისთანავე კახეთში, მოკლა თავისი მოხუცებული მამა ალექსანდრე, ძმა თავისი გიორგი და მოინდომა შეერთო ცოლად თავისი რძალი ქეთევანი. ქეთევანმა, გაიგო-რა ბოროტი განზრახვა თავის მაზლის კონსტანტინესი, წავიდა თავის სამშობლოში მუხრანს და და იქ იგლოვდა თავის საყვარელს შვილს თეიმურაზს. შეწუხებული კონსტანტინესაგან, კახელები სთხოვდნენ ქეთევანს, რათა მოსულიყო კახეთში და ყოფილიყო მათ მეფედ. ქეთევანი დასთანხმდა და თხოვნისამებრ წამოვიდა კახეთში იმ დროს, როცა კახელები მზა იყვნენ საომრად კონსტანტინესთან. ქეთევანმა მისვლისათანავე მიიღო წმიდა საიდუმლო, ჯარსაც მიაღებინა და ალაზნის პირზედ შეებრძოლა კონსტანტინეს, რომელიც მოკლეს ამ ომში და ჯარი მისი გაჰფანტეს. ქეთევანმა შემდეგ ამისა წარგზავნა კა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

განათლება შემოვიდესო. ჩვენ მოძმეთა—ქართველების იმედი გვაქვსო, თორემ სხვა ვინ რას გვიშველისო. სულ ამის ფიქრში იყო, ღმერთო, გვიშველე, და სწავლა-განათლების გზაზე დაგვაყენეო. განსვენებულს ძლიერ კარგად ჰქონდა შეგნებული საქართველოს თავ-გადასავალი, იცოდა ისტორია და ძველი ამბავი ჩვენის ქვეყნისა. იცოდა აგრედვე, რომ გვარით ქართველი იყო, ხოლო სარწმუნოება ჰქონდა მაჰმადისა, როგორც იმას, ისე სხვა მის თანამემამულეებს, აჭარა-ქობულეთლებს. ჰასან ეფენდის ძრიელ ეწყინებოდა ხოლმე, რომ ეთქვათ, თათარი ხარო: „მე თათარი რაში ვიქნები, რჯულით მაჰმადიანი ვარ და ტომით ქართველიო“.

ქართულ წიგნების კითხვაში იმდენი იმეცადინა, რომ ამ ხუთის თთვის წინად იქიდამ პატარ-პატარა ცნობების მოწერაც დაიწყო გაზეთისათვის. მისი ამბები „ივერია“-ში იბეჭდებოდა. დიდის სიამოვნებით მოიწერა, მაგალითად, რომ აჭარაში აბდულ ბეგ ბეჟანის ძემ მასწავლებელი მოიყვანა და წიგნები გვჭირიაო. წიგნები მაშინადვე გაეგზავნათ აქედამ. შემდეგ იწერებოდა, ქართულ წიგნებისა და ქართულ წერა-კითხვის საქმე რა მდგომარეობაშია დღეს აქეთაო. ჯერჯერობით ბევრს დაჰხევენო, ბევრიც ისე დაიკარგებაო, მაგრამ არა უშავსრა. ვიდრე გაიგებენ რასმე, ასე იქმნებაო. გვთხოვდა, წელსაც ამოდით და ამოგვიტანეთ სხვა-და-სხვა წიგნებიო. ძრიელ ბევრმა ისწავლა წერა-კითხვა ღ უფრო ბევრი ისწავლის, თუ ხელს შევუწყობთო. საუბედუროდ, ვეღარას მოესწრო, აღარ დასცალდა და ასე უცბად, ასე მალე გამოესალმა წუთი-სოფელს ეს მოხდენილი, საკვირველი თვალ-ტანადი, სიცოცხლით სავსე ყმაწვილი კაცი. შარშან განსვენებული ტფილისში ჩამოვიდა. ბ-ნ ანტონ ფურცელაძემ გაიცნო განსვენებული და სადილად მიიწვია. იმ დღესვე მიწვეულნი იყვნენ სადილად რამდენიმე ნასწავლი კაცი. დამსწრენი გაჰკვირდნენ ამ ყმაწვილის გონიერებითა და სიდინჯით. მშვენივრად ეჭირა თავი და მშვენიერის გურულის კილოთი ლაპარაკობდა დარბაისლურად. რაკი აქამდე მოვაღწიეთო, სთქვა მან სხვათა შორის და ჩვენი დედა-ენა არ დავკარგეთ, ეხლა ნურაფერის ფიქრი ნუ გაქვთ, ახლა ადვილად შევერთდებით სულითა და გულითაო. ბევრი რამ საინტერესო უამბო დამსწრეთ. ბ-ნ ან. ფურცელაძემ უთავაზა თავისი თხზულება „ბრძოლა საქართველოს მოსასპობლად“. განსვენებულს დიდად ენატრებოდა აქაურ ციციშვილების გაცნობა. ჰასან ეფენდის სიკვდილით მოისპო საქართველოში მაჰმადიან ციციშვილების გვარი. ციციშვილები „მუჰაჯირათ“ არიან მხოლოდ ქვეით წასულნი. განსვენებულიც ოსმალეთში გაიზარდა. იქიდამ ეს ყმაწვილი თავის მშობლით აჭარაში გადმოიყვანა აბდულ-ბეგ ბეჟანიძემ.

საუკუნოდ იყოს ხსენება ასე უდროვოდ გარდაცვალებულისა და თავის ქვეყნის დიდად მოსიყვარულე ყმაწვილის კაცისა!

ზ. ჭ.

## რუსეთი

25 თებერვალს ვიშნი ვოლოჩეკის ოლქის სასამართლოს წევრმა გაარჩია ერთი საყურადღებო საქმე, რომლიდგანაც აშკარადა სჩანს, როგორ ეპყრობიან რუსეთის ქარხნის პატრონები მუშებს, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთში დიდი ხანია არსებობს ინსპექცია, რომელიც მოვალეა თვალყური ადევნოს მექარხნეების მოქმედებას. 1892 წელს ოქტომბერში მოსკოვის ოლქ ს ქარხნების ინსპექტორის თანაშემწემ გასინჯა სტეფენ დობროვოლსკის შუშის ქარხანა და ქარხნის ანგარიშები. ინსპექტორის თანაშემწემ აღმოაჩინა, რომ ქარხნის პატრონი ძლიერ უსინიდისოდ ექცეოდა მუშებს, ფულს უჭრიდა, ანგარიშში ატყუებდა და სხვ. ქარხანაში იმდენი უწესოება აღმოჩნდა, რომ ინსპექტორის თანაშემწემ ოქმი შეადგინა და დობროვოლსკი სამართალში მიდასცა. ოქმიდგანა სჩანს, რომ დობროვოლსკი თავის მუშებს რაც ფული ერგებოდათ, არ აძლევდა და ამისათვის დუქანშივე ახარჯვინებდა ფულს და ყველაფერს მამასისხლად ჰყიდდა. მაგალითად: ფუთი ბრინჯი—3 მან. (!), ფუთი მარილი—80 კაპ. (?), ერთი გირვანქა ფქვილი—8 კაპ. (?) და სხვ. მუშებს რაც ფული ერგებოდათ წიგნებში მხოლოდ მანათებს სწერდნენ და კაპეიკებსკი არა. „არა ღირს კაპეიკების ჩაწერაო“, ამბობდა თურმე ქარხნის პატრონი... და სხვა ამ გვარი უწესოება. თუ თთვის ბოლოს მუშას კიდევ ფული რამ ერგებოდა, ქარხნის პატრონი ფულად მაინც არ აძლევდა და ძალას ატანდა, ფულის მაგიერ საქონელი წაეღო. ოლქის სასამართლოს წევრმა ქარხნის პატრონი დობროვოლსკი დამნაშავედა სცნა და 200 მან. დააჯარიმა.

## უცხოეთი

**ინგლისი.** 25 თებერვალს დუბლინში მოხდა კრება პარნელისტებისა, რომელსაც უნდა განეხილა ჰომრულის ბილლის საქმე. კრებას აურებელი ხალხი დაესწრო. კრების თავმჯდომარემ რედმონმა თავის სიტყვაში განმარტა პარნელისტების აზრი ბილლის შესახებ. პარნელისტების აზრი შემდეგია: 1) დიდი უგონურობა იქნება ჰომრულის ბილლი გათავებულ საქმედ ჩავთვალოთო; 2) ჯერჯერობით ჰომრულის ბილლზე ვერას ვიტყვით, ვიდრე არა ვნახავთ, რასახით დაამტკიცებს კაბინეტიო. შემდეგ პარნელისტების დასის კრებამ გადასწყვიტა: ა) ირლანდია ბილლს არ დასთანხმდება, ვიდრე ასრულებულ არ იქმნება ის პირობანი, რომელნიც პარლენტმა წარუდგინა ნაციონალურ კონვენტს 1891 წლის 1 ივლისს; ბ) ბილლს იმ დრომდე არ შევიწყნარებთ, ვიდრე არ გამოაშკარავდება, რა ცვლილებას მოახდენს ამ ბილლში კომიტეტი; გ) კრებამ განაცხადა თავისი უკმაყოფილება ბილლში შეტანილ ზოგიერთ მუხლების შესახებ, რომლების ძალითაც ირლანდიის ერს, შეიძლება, წაერთვას ზოგიერთი უფლებანი და უპირატესობანი, ფრიად საჭირონი ირლანდიის კეთილდღეობისა და წარმატებისათვის. გარდა ამისა კრებამ გარდასწყვიტა, ვეცადნეთ ბილლის ზოგიერთი ადგილები შესწორებულ იქმნას და დავაარსოთ ფონდიც, რათა პარნელისტების დასის დეპუტატებს შეძლება მიეცეთ მთელის სესიის განმავლობაში ინგლისის პალატ ს ყველა კრებებს დაესწრნენო. ფონდის დაარსებას სხვათა შორის ითხოვდა თვით თავმჯდომარე რედმონდიც და სთქვა, მე ვერ ვიკისრებ დავავალო დეპუტატებს, პალატის კრებებს აუცილებლად დაესწრნენ ხოლმე, ვიდრე ამ საქმისათვის საჭირო ფონდი არ დაარსდებაო. კრების დასასრულ სიტყვა წარმოსთქვა რედმონდმა და სხვათა შორის განაცხადა, თუ ვინიცობაა ჰომრულის ბილლი ისე იქმნება დამტკიცებული, როგორც ჩვენთვის სასურველი და სასარგებლოა, ირლანდია მადლობელი უნდა დარჩეს განსვენებულის პარნელისაო.

— 25 თებერვალსვე გლადსტონმა განაცხადა, რომ მეორედ წასაკითხად ჰომრულის ბილლს ხუთშაბათს, 4 მარტს, წარვუდგენ პალატასაო. პალატა ბილლის განხილვას აღდგომამდე მოუნდება. ამასთანავე გლადსტონმა სთხოვა პალატს, რადგანაც ეს საქმე ფრიად საჭირო არის, ამიტომ პალატის კრებები შაბათობითაც მოხდესო. ხანგრძლივის კამათობის შემდეგ პალატამ 256 ხმის უმეტესობით გლადსტონის წინადადება შეიწყნარა.

## წვრილი ამბავი

იაპონიის გამგეობამ პარლამენტს წარუდგინა დასამტკიცებლად ახალი კანონ-პროექტი, რომლითაც უნდა აეკრძალოთ ქალებს ყოველ გვარი სალიტერატურო გამოცემა, გაზეთისა თუ ჟურნალისა, „რადგანაცაო, ამბობს კანონ-პროექტი,—ქალებს სულ არ შეჰფერის ამ გვარი საქმე. ეს საქმე მხოლოდ კაცების კუთვნილებააო“.

ინგლისში ამ ჟამად 2,268 სალიტერატურო გამოცემაა. დრო გამოშვებით-გამოცემა კერძოდ ინგლისში 1762, (ლონდონში — 459, პროვინციაში 1,303), კალისში—102, შოტლანდიაში—214; ირლანდიაში—166; ბრიტანიის კუნძულებზედ—24. ყოველ დღიური გაზეთი ინგლისში იბეჭდება 146, კალისში—7, შოტლანდიაში—20, ირლანდიაში—17. ამას გარდა საყოველთთვეო ჟურნალი მთელ სამეფოში გამოდის 1,961, სულ სხვა-და-სხვა გამოცემა 4,229-ს აღემატება.

— ამას წინად იტალიის გამოჩენილ კომპოზიტორმა ვერდიმ ახალი ოპერა დასწერა—„ფალსტაფი“. იტალიის საერო განათლების მინისტრს ძრიელ მოეწონა და განიზრახა ვერდისათვის ებოძებინა მარკიზობა. ეს ამბავი ვერდიმ გაზეთებში ამოიკითხა და მისწერა მინისტრს: წავიკითხე, რომ თქვენ გსურთ მარკიზობა მიბოძოთ. გემუდარებით, გამანთავისუფლოთ მაგ მოწყალებისაგან, და უფრო მადლიერი დაგრჩებითო.

## გასართობი

(ქორწინება)

(ტრაგი-კომედია 3 მოქმედებად)

მოქმედება I.

დანიშნულამე (მარტო) ჩემი საქმე კარგად მიდის... კარდისახარს, მგონია, უყვარვარ... დღესვე კსთხოვ, ცოლად გამომყვეს... მლივს ბედმა არ გამიღიმა!.. რომ იცოდეთ, როგორ მომბეზრდა ეს წყეული უფულობა!.. მოვალეებიც ხომ მახრჩობენ რაღა!... კიდევ კარგი, რომ ხმა დავაგდე, ცოლს ვირთავ-მეთქი და ფულს მაძლევენ... კარდისახარის დედა მეუბნება, ქრთამს ხელში არ მოგცემო. მერე რა ვუყოთ? ჯერ კარდისახარ შევირთო და მერე მე ვიცი, როგორც გამოვართმევ ხოლმე ფულსა...

მოქმედება II.

კარდისახარ (მარტო) მგონია ეხლა-კი მეღირსა გათხოვება... დანიშნულამე გაგიჟებულია ჩემთვის... ახალგაზდაც არის... ფულიც, ეტყობა, აქვს: ტანთ კარგად იცობს... მთელი დღე ფაიტონით დადის... ძლიერ ბევრ ფულსა ჰხარჯავს... ჯერ ერთი დავქორწინდეთ, და მერე მე ვიცი... ადვილად დავაშლევინებ სხვაგან ფულის ხარჯვასა...

მოქმედება III.

(დილა ქორწილის შემდეგ)

დანიშნულამე—ოჰ, კარდისახარ, რა ბედნიერი ვარ!..

---

ცები შაჰ-აბაზთან, სთხოვდა, რომ დაებრუნებინა თეიმურაზი, შვილი მისი. შაჰ-აბაზს, თუმცა არ უნდოდა გამოეგზავნა თეიმურაზი კახეთში, მაგრამ მისი მაშინდელი მდგომარეობა აიძულებდა აესრულებინა თხოვნა ქეთევანისა. შაჰ-აბაზს ხონთქართან დიდი უსიამოვნება და შუღლი ჰქონდა და ეშინოდა, კახეთი არ მიემხროს ხონთქარსაო, ღ ამ აზრით დაუბრუნა ქეთევანს თავისი შვილი თეიმურაზი 16 წ., რომელსაც დაეცვა ქრისტეს სარწმუნოება. მოსვლისათანავე თეიმურაზს უკურთხეს მეფობის გვირგვინი ბოდბის წმიდა ნინოს ეკკლესიაში. მშვიდობიანობა კახეთისა და საქართველოსიც არ იყო ხანგრძლივი: შაჰ-აბაზი შეურიგდა ოსმალეთს, რადგანაც ეშინოდა, ქართველები არ მიჰკედლებოდნენ რუსებს. შაჰ-აბაზი გამოელაშქრა ქართლ-კახეთზედ განრისხებული. ასტყდა საშინელი ომი, რომელიც 14 წ. გაგრძელდა. თეიმურაზს უნდოდა პირისპირ შებმოდა შაჰ-აბაზს, მაგრამ თავად-აზნაურთ დაუშალეს და ურჩიეს, რომ შაჰ-აბაზთან გაეგზავნა მეფეს დედა თვისი ქეთევანი იმ აზრით, რომ ქალის ცრემლს უფრო შეიწყალებს და შეგვირიგდებაო. თხოვნისამებრ მეფისა და ხალხისა ქეთევანი წავიდა თავის შვილი-შვილით ალექსანდრეთი და ამით სამუდამოდ გამოეთხოვა საყვარელს შვილს და უფრო—ძვირფასს სამშობლოს. ქეთევანი დარჩა დიდს ხანს ტყვეობაში სპარსელებთან და დიდი წვალებაც გამოიარა შაჰ-აბაზისაგან... შაჰ-აბაზი აღტაცებული ქეთევანის მშვენიერებით, ცდილობდა როგორმე დაეყოლიებინა ქეთევანი და აესრულებინა თავისი განზრახვა. ძლიერ ბევრს ეცადა შაჰ-აბაზი ხან დამშვიდებითა, ხან დაპირებით, რომ ბედნიერი მეუღლე იქმნები დიდის შაჰისაო ღ რომ შვილი ქეთევანისაც ბედნიერი იქმნებაო; ხან ემუქრებოდა და სტანჯვიდა, მაგრამ ქეთევანი მტკიცე თავის სარწმუნოებისა და უზაკველი თავის სიცოცხლეში, არ შედრკა და ვერ შეაშინა, ვერც მუქარამ და ვერც წვალებამ შაჰ-აბაზისამ. დასასრულ ქეთევანს დაჰხურეს თავზედ გახურებული ქვაბი, აწამეს საშინლად და ამ წამებით მან განუტევა სული. წმინდა გვამი ქეთევანისა კარგა ხანი იდო გარედ მოედანზედ და ვერავინა ჰბედავდა მასთან მიახლოვებას მტარვალთა შიშისა გამო. გვამი მისი, როგორც მოგვითხრობს საქართველოს საეკკლესიო ისტორია, ბინდიდან ვიდრე განთიადამდე, შემოსილი იყო ბრწყინვალეს ნათლით ასე, რომ ურწმუნო მაჰმადიანთაც იწამეს ქეთევანის სიწმინდე და ქეთევანის ღმერთი; მათ მაშინვე იცხეს ქეთევანის სისხლი, დათხეული ქრისტესათვის, და საჩქაროდ დაჰფლეს გვამი მისი ერთს პატარა ეკკლესიაში, სადაც დაფლულ იყვნენ ორნი ქალნი, გარდაცვალებულნი ტყვეობაში. ამ დროს შირაზში იყვნენ ლათინთა მისიონერები, წარმართთა მოსაქცევად, რომელნიც დიდათ გაკვირებულნი შეიქმნენ ქეთევანის სიმტკიცით და თვითონ მათ აღიარეს იგი წმიდანათ. გვამი მისი ჩუმად ამოიღეს საფლავიდან და დიდის პატივით დაასვენეს თავიანთ სასახლის ეკკლესიის ტრაპეზზედ. სასწაულ მომქმედმა გვამმა ქეთევანისამ ბევრი კეთილმორწმუნე განკურნა ავადმყოფობისაგანაო. ამ ზემოხსენებულთ ლათინთ მისიონერებმა წამოიღეს სპარსეთიდან წმ. გვამი ქეთევანისა. ზოგიერთი ნაწილი გვამისა: თავი, მარჯვენა ხელი და შედედებული სისხლი მიართვეს მეფე თეიმურაზს, რომელიც ამ დროს გორში იყო. დანარჩენი ნაწილნი მისიონერებს გაეგზავნათ ევროპაში. ეს ნაწილნი ეხლაც დაცულ არიან ბელგიის ტაძარში. თეიმურაზს ძრიელ ეამა ამისთანა საქციელი ლათინთა მღვდლებისა და მადლობის ნიშნად მისცა ნება ეცხოვრათ გორში. აქედგან დაიწყეს ლათინებმა თავიანთი სარწმუნოების ქადაგება საქართველოში. აქედან დიდის პატივისცემით კათალიკოზ ზაქარიას და სხვა ეპისკოპოზების თანადასწრებით, გადაიტანეს ნაწილნი წმ. ქეთევანისა ალავერდის ტაძარში. შემდეგ რამდენისამე ხნისა მეფემ გაგზავნა შირაზს ალავერდის ეპისკოპოზი და დანარჩენი ნაწილებიც მოატანინა. ყველა ესე ნაწილნი ერთად დიდის ტრაპეზის ქვეშ დაფლეს, სადაცა აქამომდე შეურხევლათ არის დაკრძალული. წმიდა ქეთევანის გვამის გარდა, ალავერდში დამარხულია მეფე ალექსანდრე და მისი შვილი გიორგი, რომელთაც ბოლო მოუღო ბოროტმა კონსტანტინემ. აქვე დაფლულია რუსთავის ევისკოპოზი პავლე, მოკლული ამავე კონსტანტინესაგან; იოანე ალავერდელი, საკურთხეველში დაკლული ლეკებისაგან; ეპისკოპოზი იოანე, რომელმაც მოიტანა შირაზიდან წმ. ქეთევანის ნაწილები, და ეპისკოპოზი ზენონი. ამას გარდა დაფლულ არიან გვამი თეიმურაზ პირველისა თავისის შვილით დავითით; დედოფალი ანნა, მეუღლე ირაკლი პირველისა; თეიმურაზ მეორის მეუღლე ანნა, ირაკლის ქალი ელენე, და თეიმურაზისა—მონაზონი მაკრინე, რომელმაც შეთხზა საგალობელი წმიდის ათ-ცამეტ მამათაგანის იოსებ ალავერდელისა.

ზ. ჩხიკვაძე

კარდისახარ—მე კარ ბედნიერი!..
ბიჭი.—ბატონო!.. პარტნოი გიახლათ, ათ თუმან ფულს ითხოვს...
დანიშნულამე—კარდისახარ, მეუღლე, გენაცვა ათი თუმანი, მეკამაქის...
გოგო.—ქალბატონო, მოდისტკა გიახლათ, იგ თუმან ფულსა თხოულობს...
კარდისახარ.—საყვარელო მეუღლე, გაუსწორდი გეთაყვა, მე ფული არა მაქვს.
დანიშნულამე.—საყვარელო სიდედრო, გაუსწორდი, გეთაყვა მაგ მოვალეებს... ჩვენ ფული არა გვაქვს.
სიდედრი.—მე საიდგან გამოვიხარო??¿
(ფარდა)

---

**წერილი რედაქციის მიმართ.**

I

გთხოვთ, გურულ მეაბრეშუმეთა თხოვნით, რაც შეიძლება, მალე შეგვატყობინოთ, „ივერიაში“ გამოცხადებით, თუ რა სათუმქელი უნდა ჰქონდეს გურიაში ამ ჟამად გავრცელებულს ხმას, ვითომც მთავრობისაგან აკრძალულ იყოს ამ წელშა აბრეშუმის ჭიის მოშენება და ხუთი თუმანი ჯარიმა გადახდებათ იმათ, ვინც იყოლიებს ჭიასაო. ამ ამბავმა თავზარი დასცა ჩვენს გაჭირვებულ ხალხს, რომელიც ამ ბოლო წლებში ჰკრანგს აბრეშუმში ანაღების ერთი-ორის გროშით იცვლიდა. დიდის მოუთმენლობით მოელის ხალხი ამის პასუხსა. ვთხოვთ ტფილისის რუსულ გაზეთებსაც გადაბეჭდონ ეს თხოვნა, რომ მალე გამოირკვეს ეს ჩვენთვის დიდად საინტერესო და საჩქარო ამბავი *)

ბახვის სოფ. სკოლის მასწავლებლები და სხვა მეაბრეშუმენი ჩვენის ქვეყნისა.

3 მარტი 1893 წ.
ს. ბახვი (ოზურგეთის მაზრა)

II

თებერვლის გასულს, როდესაც მე ს. ალში არ ვიმყოფებოდი, მობრძანებულა იგუმენი მამა ლეონიდი და ჩაუგონებია ამ სოფლის გლეხობისთვის, სამრევლო სასწავლებელი დააარსეთო; ყველას ერთხმად გამოუცხადებიათ სურვილი და თანაგრძნობა, ხოლო, რადგან სოფელს არა აქვს შესაფერი შენობა სასწავლებლისათვის ამის გამო დაბრკოლებულა სკოლის საქმე; თუმცა იგუმენას ლეონიდისათვის მოუხსენებიათ, რომ მე მაქვს სკოლისათვის მოსახერხებელი შენობა, მაგრამ ამ საგნის შესახებ ჩემთვის არავის მოუმართავს. ვფიქრობ, იქნება იმიტომ არ მომმართეს, რომ მე სომხთ სარწმუნოებისა ვარ და ასეთს თხოვნას სახლის დათმობის თაობაზედ სკოლისათვის, ვითომ შორს დავიჭერდი. ამიტომ ვსთხოვ მამა ლეონიდს, განასხორციელოს თვისი კეთილი აზრი და მე დიდის სიამოვნებით დავუთმობ სოფელს ჩემ. ორ-სართულიან ქვითკირის სახლის ქვედა სართულს მუქთად, ორის წლით, ვიდრე სოფელი ააშენებდეს საკუთარს სასკოლო სახლს. მართალია, სარწმუნოებით სომეხი ვარ, მაგრამ საქართველოში დავბადებულვარ და აღვზრდილვარ და ამიტომ ყველა ქართველს ჩემ ძმათა ვსთვლი.

დავით ჯანუევი

25 თებერვალს 1893 წ.
ს. ალი.

---

*) ჩვენ ამისთანა არა გაგვიგონია-რა და არ ვიცით, საიდამ და როგორ უნდა გავრცელებულიყო ასეთი ჭორი გურიაში.

რედ.

# დეპეშა

10 მარტი

**პეტერბურგი.** განზრახვა აქვთ შესცვალონ წესნი უცხო სარწმუნოებათა სამღვდელოების პასუხის გებისა იმ შემთხვევაში, როცა მისნი წარმომადგენელნი თავიანთ სარწმუნოებისამებრ შეასრულებენ მღვდელ-მოქმედებას მართლ-მადიდებელთათვის.

ამ დღეებში სახელმწიფო საბჭოს საზოგადო კრება განიხილავს წესდებას სამეურნეო და სატყეო ინსტიტუტისას ახალს ალექსანდრიაში.

**მოსკოვი.** დღეს, ქალაქის მოურავის არჩევანების დროს, ნაშუადღევის 12 საათსა და 10 წამზედ, საბჭოს დარბაზში ნოვოხოპერის მცხოვრებმა ანდრიანოვმა განიზრახა ქალაქის მოურავის ნ. ა. ალექსეევის მოკვლა და ორჯელ რევოლვერი ესროლა. როცა ქალაქის მოურავმა ჰკითხა ანდრიანოვს: „რა გნებავთო“ ბოროტ-გამზრახველმა რევოლვერი ამოიღო ჯიბიდგან და ორჯელ ესროლა ქალაქის მოურავს; ერთი ტყვია ალექსეევს მუცელში მოხვდა, მარცხენა საზარდულის ცოტა ზემოდ. მეორე ტყვია-კი კაბინეტის კარებს. მოსამსახურემ ბოროტ-გამზრახველი შეიპყრო; ალექსეევმა მოასწრო კაბინეტში შესვლა. ამბობენ, ბოროტ-გამზრახველი ჭკუაზედ შეშლილიაო. საბჭოს კრება გადიდო. დაშავებული ჯერ-ჯერობით კაბინეტშივე დასტოვეს. ოპერაციისთვის მიწვეული არიან უკეთესნი ჯარა-ექიმნი.

**ვენა.** პროფესორი ბილროტი სოფიას გაემგზავრება და პრინცს ფერდინანდს თავის ქალაში იმ ადგილას უნდა გაუკეთოს ოპერაცია, სადაც ჩირქი მოგროვილა და ამის გამო ანთება მოსვლია.

**პარიჟი.** მეფედ ნამყოფი ბეგონცინი, რომელიც დუგუმედგან გაიქცა, საფრანგეთის წინააღმდეგ ბრძოლას აპირობს. ბეგანცინს შველიან გერმანელები და ინგლისელები, რომელთა ახალ-შენებიც დაგომეის საზღვარზედ არიან.

პანამის საქმე: მსაჯულებმა პანამის საზოგადოების ადმინისტრატორი ლესეპსი, მინისტრად ნამყოფი ბაიო და ბლონდენი დამნაშავედ სცნეს, დანარჩენები-კი გაამართლეს.

პეტერბურგის ბირჟა, 9 მარტი.

| | მყიდვე-ლისა. | გამყი-დველისა | გაყიდუ-ლისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | 7,59 | 7,62 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 151½ | 152½ | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . . | — ,, | 1,38 | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | — ,, | — ,, | 240¾ |
| —მეორისა . . . . . | — ,, | — ,, | 222 |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | — ,, | — ,, | 195½ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: 6%. . . . . . | — ,, | 102 | — ,, |
| 5%. . . . . . | 100 | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6%. | — ,, | 102 | — ,, |
| 5%. . . . . . | 100 | — ,, | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | 99¼ | — ,, | — ,, |

**ხელ-და-ხელ საჭირო ცნობა**

— 11 მაისს, ტფილისის ოლქის სასამართლოში ვაჭრობით გაისყიდება ზაქარია ივანეს ძის ასლამაზოვის მამული, რომელიც იმყოფება ტფილისის მეხუთე საპოლიციო განყოფილებაში პოლიციის ქუჩაზედ № 22, შეიცავს ორსართულიან სახლს ეზოთი. დაფასებულია 1000 მანათად.

— 28 აპრილს, განჯის საოლქო სასამართლოში გაისყიდება მოლა-მამედ-მაშადი-ოღლის სახლი პატარა ბაღჩით, დაფასებული 200 მანათად.

— ტფილისის ოლქის სასამართლოში 11 მაისს ვაჭრობით გაისყიდება მამული ტფილისის მოქალაქეთა: სოფიო იაგორას ასულის და იოსებ მარტიროზას ძის ამირხანოვებისა, სოფიო მარტიროზას ასულის შახბაზოვისა, ოლგა მარტიროზას ასულის ხანჯალამვილისა და ნატალია მარტიროზას ასულის კაფიევისა. მამული ტფილისის მეშვიდე საპოლიციო განყოფილებაშია შამხორისა და პრეობრაჟენსკის ქუჩაზედ № № 31 და 34, შეიცავს ორ სართულიან სახლს და დაფასებულია 600 მანათად.

# განცხადებანი

მსურს ვიყიდო

მ ა მ უ ლ ი

2,000 დღიურამდე, ბანკის ვალით, ტფილისის ან განჯის გუბერნიაში, ერთი ან ორი ნაჭერი, სახნავი მიწა, ვენახი ტყე, უფრო რკინის გზის ახლო. ადრესი: „ლონდონის“ სასტუმრო, კოლესნიკოვს, საღამოს 4 საათიდგან 6-მდე, ტფილისი. (2—1)

---

სოფელ ქვემო გლდანში ერთ ვერსზე ავჭალის სტანციიდგან იძლევა იჯარით კარგად შემუშავებული ბაღი ქრთ..ს ოთახით, აგრეთვე სახნავი, სამოვარი მაწები და ტყე. შეიძლება გაყიდვაც. პირობების გაგება შეიძლება კუკიაში, მეორე თუმანოვის ქუჩაზედ № 17. (1—3)

---

სხვა-და-სხვა მიზეზებისა გამო, ისყიდება იაფ ფასად რვა **ფურგუნი, წყლ..ს საზიდი ბოჩკა და ტელეგა.** ავლაბარი, მარტყოფის ქუჩა № 8. (3—2)

---

# კბილის ექიმი
# ა. ი. ორბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16
ავადმყოფებს მიიღებს:
დილით 8-დგან 12 საათამდე.
საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.
**კვირა-უქმე დღეებში**
დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (150—25)

---

**კანარეიკები.**

თუთიყუშები სტამბოლიდგან და ოქროს ფერი თევზები ისყიდება 20 მარტამდე. სასტუმრო „ათინა“, პუშკინის ქუჩა. (2—2)


**ნუ უიდულობთ** ოლეო-ვაზელინის საპონს **როიალ-კონგო**
რომელსაც გასაფრთხილებელი ნიშნები არა ჰქონდეს გამომგონებისაგან
**ე. ბოდლო და კ° საგან**

გაუფრთხილდით ყალბ სა-პონს!




გაუფრთხილდით ყალბ სა-პონს!

ჩვენ იძულებულ ვართ თითოეულ ნაჭერს ოლეო-ვაზელინის „როიალ-კონგოს“ საპონს გასაფრთხილებელი ნიშნები გაუკეთოთ, რადგან აღმოჩნდნენ ისეთნი, რომელნიც აკეთებენ ჩვენის საპნის მიმსგავსებულს ეტიკეტითაც და სხვაფრივაც.

ე. ბოდლო და კº.

ადრესი: Москва, 3-я Мѣщнская, д. № 49. магазинъ: китайскій проѣздъ, д. Хлудовыхъ. (12—2)

---

# მ ე ქ ა რ ხ ნ ე ე ბ ი

ს ა ვ ა ჭ რ ო ს ა ხ ლ ი

# ბენდერ-სტეფანოვი

**ტფილისის განყოფილება** სოლოლაკ. ქ. სახ. აღაბაბოვისა.

**ისყიდება ყოველ-გვარი ახალ-მოდის ნაწარმოები სარფინკისა, საკუთარ ქარხანაში დამზადებული:**

სხვა-და-სხვა ნაირი არშიანი და ახალ მოდის სარფინკები.
ჩესუჩა ტანთსაცმელისათვის.
სარფინკის ტანისამოსი ყუთებით საჩუქრად.
ცხვირსახოცები და თავმოსახვევები.
ნაქსოვი საშემოდგომო იუბკები არშიით.
სარფინკის ფერადი ძაფები ნაძახი ჩულქების საქსოვად.
მზა-მზარეული სარფინკის ტანისამოსი.
პერანგები კაცისა:
„ფანტაზია“ და გახამებული პერანგები.
საცვლები მანდილოსნებისათვის:
პერანგები, კოფთები და კალსონები.
ჩულქები და წინდები სარფინკის ძაფისა.

ქარხნის ფასად, იაფად. (35—6)

---

# რუსეთის სავაჭრო და სამომსიო ბანკი

(**ძირის ფული 1.000,000 მან.**)

ისყიდება 5%-იანი **მომგებიანი ბილეთები** I, II, და III სესხისა თვეში **ხუთ-ხუთ მანათის** გარდახდით. მსურველთ შეუძლიანთ მეტ-მეტიც იხადონ თვე-და-თვე.

ბეთ უნდა იქმნას წარმოდგენილი არა ნაკლებ **15 მანათისა.**
კუპონები სრული საკუთრებაა მყიდველისა. ბეის წარდგენის შემდეგ მოგება მყიდველისაა.
დაზღვევა ბილეთისა **65 კაპ.**
საავენტო იმყოფება ველიამინის ქუჩაზედ, № 7, ღიაა 9 საათიდამ 2 საათამდე.
(50—6) აგენტი დ. ქ. თუთაევი.

---

ა ხ ლ ა დ გ ა მ ა რ თ უ ლ ი

# პანსიონი და სასწავლებელი

ა. გ. მირზაშვილისა

იმყოფება გრიბოედოვისა და კრუზენშტეინის ქუჩების კუთხეში, ბაღდოევის სახლში. შეგირდები მიიღებიან როგორც პანსიონერებად, ისე გარედამ მოსიარულეებად. სწავლა დაიწყო 25 სექტემბრიდამ. (50—46)


Доз. ценз. Тифлисъ, 10-го Марта 1893 г. სტამბა მ. შარაძისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.